


572
1988





მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (ულიანოვი) დაიბადა სიმბირსკში 1870 წლის 22 აპრილს.

მამამისი — ილია პეტრეს ძე მუშაობდა მასწავლებლად. დედამ — მარია ალექსანდრეს ასულმა იცოდა რამდენიმე უცხო ენა, მოგვიანებით ექსტერნად ჩააბარა გამოცდები მასწავლებლის წოდების მისაღებად, მიუხედავად ამისა მას არ უმუშავია, მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია შვილების აღზრდას მოახმარა. ულიანოვების ოჯახში ექვსი ბავშვი იზრდებოდა — ანა, ალექსანდრე, მარია, ვალოდია, ოლგა და დიმიტრი. ოჯახის ყველა წევრი კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე გახდა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი პირველად მარქსისტულ ლიტერატურას უფროსი ძმის, ალექსანდრეს გავლენით ეხიარა. შემდეგ მან მთელი თავისი ენერჯია თვითმპყრობელობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მშრომელთა სრული განთავისუფლების საქმეს მოახმარა. ლენინი იყო ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ნამდვილი შემოქმედი და ორგანიზატორი. 1917 წლის 25 ოქტომბერს ლენინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა აჯანყებას სმოლნში.

1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) რუსეთში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა ლენინის თავმჯდომარეობით.

დღეს ჩვენში ყველაზე დიდი ჯილდო ლენინის ორდენია. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა ორი ლენინის ორდენითაა დაჯილდოებული.

* * *

1961 წლის 12 აპრილს კოსმოსურმა ხომალდმა „ვოსტოკ-1“-მა, რომელსაც კოსმონავტი მურინავი იური გაგარინი მართავდა, მსოფლიოში პირველმა მოახდინა ორბიტული კოსმოსური ფრენა.

იური ალექსანდრეს ძე გაგარინი დაიბადა 1934 წ. სოფ. კლუშინოში, სმოლენსკის რაიონში, კოლმეურნის ოჯახში. სახელოსნო მასწავლებლისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა სარატოვის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, სადაც გადადგა პირველი ნაბიჯები ავიაციაში. 1960 წელს იური გაგარინი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და მამაცი მურინავი, ჩაირიცხა კოსმონავტთა რაზმში. 1961 წელს მან პირველმა ხომალდ-თანამგზავრ „ვოსტოკ-1“-ით შემოუარა დედამიწას 1 სთ და 48 წთ-ში.

12 აპრილს დასაბამი მიეცა ახალ ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში.

ქართული
საზოგადოებრივი
მეცნიერება

ამოცანათა კრებული

ლილია კონი

ღარიბთა ბავშვები გიმნაზიაში იშ-
ვითად, მაგრამ მაინც ხვდებოდნენ.
კლასში, სადაც ვალოდია ულიანოვი
სწავლობდა, ერთი ასეთი ბიჭი იყო —

18704



მიშა კუხნეცოვი.

მიშას მამა რესტორანში მუშაობდა —
მდიდარი ბატონების მაგიდებს ემსახუ-
რებოდა. გასამრჯელოს ძალიან ცოტას
იღებდა და შვილის გიმნაზიაში სწავლე-
ბის ფული რომ გადაეხადა, დღე-ღამეს
ასწორებდა.

მიშასთვის ბაზრობაზე იყიდეს ძვე-
ლი, გასაცოდავებული ფორმის ტანსაც-
მელი, ხოლო ყველა სახელმძღვანელო
ერთად რომ ყეიდათ, საამისოდ ფული
არ ყოფილა.

ერთხელ, არითმეტიკის გაკვეთილზე,
მასწავლებელმა მიშას მკაცრად უთხრა:
— კუხნეცოვ, გამოდით და გვითხარით,
რატომ არ ამოხსენით ის ამოცანები, სა-
შინაო დავალებად რომ მოგეცით?

მიშა გაწითლდა, თვალებზე ცრემლი
მოადგა.

— ამოცანათა კრებული არა მაქვს, —
უპასუხა ძლივს გასაგონად.


— აჰ, ამოცანათა კრებული არა
გაქვთ? თქვენ გესმით, ბატონებო? კი
მაგრამ, რატომ არა გაქვთ? გიმნაზიის
მოსწავლე ვალდებულია, ყველა სახელ-
მძღვანელო ჰქონდეს.

— მამა მიყიდის, — ცრემლნარევი
ხმით წაილუღლულა მიშამ, — მითხრა...
აუცილებლად მიყიდის, როცა ფულს
აიღებს.

— მე საქმე არა მაქვს არც თქვენს მა-
მიკოსთან და არც იმასთან, გაქვთ თუ
არა ფული! — იყვირა მასწავლებელმა, —
ასე რომ, დღესვე უნდა გქონდეთ ამოცა-
ნათა კრებული! ხვალინდელი დღისთვის
კი ყველა ამოცანა ამოხსნილი უნდა
იყოს, არადა, დაისჯებით!

მიშა თავის მერხთან მილასლასდა,

საქ. სსრ კ. შარქისი
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ნადვლობდა, როგორ ეშოვა ფული სახელმძღვანელოსათვის.

დასვენების დროს მასთან ვალოდია მივიდა.

— აჰა, — მიაწოდა თავისი ამოცანათა კრებული, — გამომართვი, ვიდრე იშოვი, გქონდეს.

მიშას ძალიან გაეხარდა, ისე გამოართვა წიგნი, თითქოს წართმევისა ეშინიაო, და უცებ შეცბა:

— კი მაგრამ, შენ? შენ როგორ მოემზადები, თუ კრებული არ გექნება?

— ჩემზე ნუ შეწუხდები, — უპასუხა ვალოდიამ, — უკვე გადავიწერე ამოცანები და შინ ამოვხსნი. აიდე, აიდე, ნუ გეშინია, — და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დაამატა, — უცნაური ვინმე ხარ, ადრე რატომ არ მითხარი?

პეტკამ და ვიქტორმა მოსაუბრეებს გვერდით ჩაუარეს და იქვე გაჩერდნენ.

— ეს ულიანოვი, არ ვიცი, რატომ, ყოველთვის ელოლიალება ამ გლენუჭას, — ისე თქვა პეტკამ, ვალოდიას და მიშას რომ გაეგონათ.

— იმდენი ფული არ აბადიათ, სახელმძღვანელო რომ იყიდონ და გიმნაზიაში კი მიიპრებიან, — მხარი დაუჭირა ვიქტორმაც, — გიმნაზიას არცხვენენ მხოლოდ.

— მამაჩემი ამბობს, — მედიდურად გააგრძელა პეტკამ, — ამისთანებისათვის გიმნაზიაში ადგილი არ არისო.

— აი, მამაჩემი კი სხვას ამბობს, — ხმამაღლა თქვა მათკენ სწრაფად მობრუნებულმა ვალოდიამ, — რომ საჭიროა, ყველა ბავშვი სწავლობდეს გიმნაზიაშიო. წავიდეთ, მიშა, — მიუბრუნდა შეცბუნებულ და დაბნეულ კუხნეცოვს, რომელიც ჩუმად მიმდგარიყო გვერდზე, — ყურადღება არ მაიქციო მაგათ.

პანანინა კოსმონავტი

ლია კობალაძე

იმარაგებს სწავე-სათობს,
არ ამინებს ეინვა-სვატი,
თან გაჭურებს ზეცის ტატნობს
მაწაწინა კოსმონავტი.
ანჯარიშობს, ხაზავს, ითვლის,
(ასრულება უნდა ნატვრას),
მრავალი რამ წიგნის კითხვით
შეისწავლა კოსმონავტმა.
მოიარა მზე და მთვარე
თამაშ-თამაშ, ხატვა-ხატვით,
წითელ ალაშს აფრიადებს
ვარსკვლავეთში კოსმონავტი!...



მზის წვიმა

რევაზ დანელია

ამინდია საოცარი,
ციხურ კაბით მოდის დილა.
მზე ეხვევა ეელზე ცაროს
და ნიაზე დაბადლა.
შულისთვალება გაზაფხული
ნახა ცამ და გაიდიმა,
და მოვიდა მზის სხივების
შრიალი და თბილი წვიმა.

ნაბადული

ლევან ანანიძე

ხმაწრილა ზონგურივით
ახმიანებს კლდეზე ზვირთებს,
მთის ანკარა ნაკადული
მოიჩქარის, ძალას იკრებს,
ევავილნარებს წურვილს შკლავს,
აუსრულდა განზრახული,
ნაირფერად დაამშვენა
საქართველოს გაზაფხული.

ბასის მალაქალიძა

ღათვის გათეთრების აბანი

ბლახნარში გავორებულ ღათვს ძელე მო-
ბეზრდა უქმად კოტრიალი, ხვნიშა და თაფლზე
ოცნება. „პოო, — ფიქრობს, — ამხაირ შუააბა-
ნაქებას, ჩემი შესაფერი კეთილი საქმე რომ
მექნა და თავი მესახელებინა, კარგი იქნებოდა“.

ხედავს: ტყვიდან ორი მგელი გამოძუნძულ-
და — გაზანთული, ბეწვარეული, სოფლიდან
ცარიელ-ტარიელზე გამოპანდურებული.
ძლივსდა მოლასლასებენ და კუდებიც ფეხებ-
ში ეტლანდებათ.

„აბა ამით დამიხედეთ, — გული აუწყედა და-
თუნის, — ამითი ცოდვით რატომ ტყე არ იცვის
და ხეცა არ წითლდება... რა მახადია, რით შე-
ვეწიო ამ საწყლებს“. მოიძია სამალავი, ააფოთ-
ფოთა, მიხხრიც-მოხხრიცა ხმელი ფოთლები და
ვინ იცის როდის ნაპოვნი საპონი შერჩა დრუნჩ-
სწინ. „მოიცა ცაცო, ამით არ არის ადამიანები
ერთმანეთს რომ ბანენ და რეცხავენ?“ — მოი-
ფიქრა და გაიხარა დათვურად: „დავბან ამ სა-
ცოდაებს, მებენარებს გავაცლი, გავხეხავ გე-
მოხე... ეგენიც გაილაღებენ და მეც ტყეში კე-
თილი სახელი გამივარდება!“

თქმა და ქმნა ერთი იყო. გამოგორდა სამა-
ლავიდან, ცხვირწინ აებურთა მაწანწალებს და
გვარიანად გადაუქანა გულები.

— ბოთიებო, — დატუქსა მამაშვილურად, —
დაიხედეთ თავზე, აბა თქვენ სოფელში გასაყ-
ვანები ხართ?..

მგლები მორჩილად გალურსულან, მუხლებ-
ი უკანკალებთ შიშისაგან.

— ჯანდაბას თქვენი ქეციანი თავი, იბბალს
მადლი უთხარით, მე რომ შემხვდით! — ქადაგს
მორჩა დათუნა, ორივეს ქეიში სწვდა, ერთი
მარჯვენი ბლუჯში ასწია და მეორე — მარცხე-
ნაში.

ღათვის ტორებზე ჩამოკონწიალებულებს
ლაფი წურწურით გასდით, ჩურჩხლებივით გა-
შეშებულან და ერთმანეთს მხერითდა შესნი-
ვიან.

ბეური აღარ უფიქრია დათუნას, მგლებიან-
ნად დეღისაკენ წაბაჯბაჯდა, ჩაავნო მოზრდილ
გუბეს, შეაბოტა შუაგულში, გემრიელად ჩაა-
ყურყუმელავა ორივენი, დაასველა და დააღბო,
დრუნჩით საპონი გაუსე-გამოუსევა, კარგად



აქაფა და ერთიმეორეზე ხეხვას მისდგა, ნეკ-
ნების ლაწალუწი აუყენა, ააყბუვლა.

კარგად რომ დარეცხა, გულდაგულ გაწუ-
რა ორივენი და იქვე, ხის ტოტზე გადააფინა
გასაშრობად, თავადაც დაბლიდან მიუჯდა,
ჩრდილში. „ძლივს ხალხს არ დგამსგავსეთ,
ასე არ სჯობია?!“ — აბლიმილა აცხცახებუ-
ლებს.

იწინწკლებიან მგლები და: ცხიკ! ცხიკ! —
აქვთ ერთი ვაიუშველებელი.

ტყეში ფაჩუნე გაისმა, დათვმა დააყურა, —
ვიდაცვები მოიპარებიან, მოსუნსულებენ. და-
ვითო შამხნარში დაიძალა. „ერიპაა, ერთი ამით
დამიხედეთ?“ დელესთან კვერნა, მაჩვი და მე-
ლია მოსუნსულდნენ, წყალს დაეწაფნენ. და-
თუნას ისევ ეშმაკობა შეუნთო ტანში. გამო-
დვადლავა ბუნჭებიდან, დელის პირზე წაატა-
ნა სამთავეს, უთაქა და პანდურის კვრით შერე-
კა ადგაფუნებულ წყალში; თავადაც ჩააყვა, მოი-
ძია საპონი და მისდგა ახლა მათ ბუნზვას. ააქა-

ფა მთელი ღელე, შრომობს და აღარაფერი ეყუ-
რება.

გაისარჯა დათათა, დაბანა მხეცუნები, გა-
აქათქათა, ამოწურა, შეაბურტვა ერთიმეორეს
და გაფინა გასაშრობად — ერთი მაყვლის ბუჩ-
ქზე, სხვებიც — ძეძვზე და ბარდებზე. დაიღალა
თავდაც; მიეგღო იქვე, ერთი ამოისვენეშა და
ტკბილად ჩაიძინა.

შუბს გადაწვერილმა მშემ უკანასკნელად
გაიბრძოლა, გასაშრობად გაფენილ მხეცუნებს
სულ ბუდი და ორთქლი აადინა. გადახედეს
ერთმანეთს — აუჰ, როგორ ბზინავენ, როგორ
დაუბნით ათინათი გაწკრივებულ ბეწვზე.

გააპარეს მხერა დათუნისაკენ, გუბისპირას
წამოარხინებულა ნატალახარი, მიხელილ-
მოხელილი, ტანზე ნახვერადტყუაყოლილი, ნე-
ბიურად ფშვინავს, ხანდახან წაიქექება ხანტად.
ეჰჰ, აბა ვინ გაუბედავს გაბანვას, რომელს აქვს
მაგის ძალა?

გამოეცაღნენ იქაურობას, მოსდეს მთელ
ტყეს დათუნის შექისეობისა და მისი აბანოს
ამბავი.

ბოლოს ხმამ იარა და მეფეთმეფის — ლომის
ყურამდეც მიაღწია.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ტყის თავყრილობის მოწვევა ბრძანა მეფემ.
უამრავი ნადირი მოაწვდა მბრძანებლის
კარს. როდესაც ყველა შექუჩნდა, ლომმა პირ-
სახოცისოდენა ერთი ტუჩები მოიწმინდა, და-
ამითხარა და იქუხა:

— განბანილები მომგვარეთ!

ჯამაათი გაიპო და დაბანილები წინ წამო-
ყარეს.

— ადრე როგორი იყვენენ? — იკითხა ლომმა.

ვერავინ შეუბედა ბასუნბი, ბოლოს ვეზირთუ-
ხუცესმა ვუფხვმა იფაჯაცა.

— ტურტლიანები და ზინტლიანები, ბინძუ-
რები დათვითი.

— რაო? — დაიღრიალა მბრძანებელმა, —

აბანო გაუსხნია, მექისეობა უკისრია და თავად
გაუბანელი დადის!? აბა ვინ გამეგზავნება დათ-
ვის გასარეცხად?!

თავი ჩამალა სუყველამ.

— თქვენო მაღალმეფუფეობავ, — ტკბილად
შეაპარა ბრძენთაბრძენმა ბუმ, — მექისე ხომ
მობანავეზე ძლიერი უნდა იყოს!

— ლანჩუბი ყოფილხართ ყველანი, დათვზე
კი ავიაობთ... — განრისხდა მეფეთმეფე, — ახ-
ლავე აქ მეახლოს, მეფე გწყალობსთქო, მე თა-
ვად განვბან! — ბრძანა.

ბუნავში აცნობეს დათუნას ხელმწიფის
ბრძანება. ჯერ გამოწვანებულა, შემდეგ გაღურ-
ჯებულა და ბოლოს შიმისგან მთლად დაკარ-
გვია ფერი, მოუცოცხია იქიდან, მიძუნძულებს
და ფიქრობს:

— ჰაი გიდი! რაც მოგივია დავითაო, ყველა

შენი თავითაო! — ლომი ხომ მუდამ ლომია, კარ-
გად მოხსენება მაგის ტორებისა და ძალ-ლო-
ნის ამბავი. მაგან რომ დაბანოს და დაზილოს,
ხომ სულიც აღარ ამოწვევა წყლიდან, ნაკნე-
ბი კი არა, ტყავიც არ დარჩება მთელი.

მირბის გულგახეთქილი დათუნა, გადაიარა
მთები და ტყეები, გამოდევნებული ლომის ღრი-
ალი და ტორების ხმა ესმის გამუდმებით.
მთლად გათურდა შიმისა და დარდისავან.
მიადწია მარადიული ყინულის სამეფოს, სადაც
მხოლოდ ბინგვინები და სელაბები ბინადრობენ,
და დასახლდა იქ.

ის არის სწორედ, აღმა-დაღმა რომ სცემს
ბოლთას თეთრ უდაბნოში, ერთი დრუნჩიდა
შერჩა შავი და იმასაც, თუ ვინმემ აბანო უხსე-
ნა, თათებში მაღავს, ხომ ხედავთ თოვლივით
თეთრი ვარ და დაბანა სულაც არ შესაჭიროე-
ბაო.

ალუფსული გეოგრაფია

ბორის ზანოღარი

ო, დმერთო ჩემო,
ვერ შეაჩერა,
დღე შეუჩვენა მუსრუკს
გაჩენის,
აღუღებულმა მძლოლმა.
ავტობუსის ქვეშ მოჭევა
გლობუსი,
შთანთქა

გლობუსიცი და ავტობუსიცი
გამონაბოღუქვის ბოღმა.

ბეკრი ენახა რამ
უცნაური,
მაგრამ

ამგვარი აურზაური
ჯერ არ ენახა მიწას:
აატორტმანა ქარმა
ზღანეტა,

ეგვლა კუნძული
წეალმა წახვეტა,
მთელი სამეარო ირწა.

სახე ეცვალა
ზვავს და მდინარეს,
ზარღუღებს და
მერიდიანებს,
კომპასს აებნა თავგზა:
ჩრდილო პოლუსი




მოჭევა გრიგალში,
აღმოჩნდა
სამსრეთ ამერიკაში
და ეინვის ქოში გასძვრა;
სამსრეთისა კი,
ნაკლებად მდგრადი,
ნებით

შლორთა¹ და სიმხურვაღეთა,
ორად გაიყო,
უსაზღვრო ვადით,
დასავლეთად და
აღმოსავლეთად.

მთელი აფრიკა დაღვა
მალაუსე,
მთლად ამერიკის მიწაც
ეაღუსეა,
გამქვინვარებულ
ზვირთებს გადაჭევა —
ავსტრალიაში შეძვრა
ახია.


შსამიან შიშინს
დაჭევება შიში,
ეინულოვანი დღუს
ოკეანე,
ცხელი საჰარა



წვალმა დაფარა,
 ორთქლი
 ღრუბლებად დაბორიალებს.
 უსურმაზარი ევერესტისგან,
 უმაღლესთაგან
 უმაღლესისგან,
 სუსუნნი დარჩა ქართა,
 და ევეკლასთვის ცნობილი ვრი,
 ტბა უწყინარი
 და შშუენიერი —
 გამოქვაბულმა შთანთქა.
 შიშით ჭადარამ ისე შეღება,
 აღარ იციან მეცნიერებმაც —
 სღვა შავია თუ თეთრი,
 დგას ორინოკო,
 დარდი თავს იკლავს,
 მდინარე იყო, გადაქცა ზიკაც
 და აღარაფერს ერთვის.
 ფანტელებივით ფრენენ
 ჰაერში
 ჩიტუნები მიომფრენები,
 ჩრდილო ზოლუსი
 დახვდათ სამხრეთში,
 უკან გასწიეს შეუჩერებელივ



მთლად
 ეკვატორის გვერდით დაცურავს,
 ეინულის გემით,
 ეინვის კაცუნა.
 ლომებს,
 ევროზის გზატკეცილებზე,
 ანტილოპები მიადილებენ.
 ზოლუსს დაქმებს
 თეთრი დათუნა
 და ტუეში
 სიდან სეზე დასტუნავს.
 ლომმა
 პირველად ნახა თაგვი და
 ნაძვს შეეფარა,
 შიშით გაფითრდა.
 ანტარქტიკაში
 ბეჭემოთები
 ევირინა:
 ვიდრე ეინვის ლოდებად
 გვაქცევს იანვრის ღამე,
 უნდა
 მეკურნალთან კაცი ვაფრინოთ,
 რომ
 ამ ალფუსულ² გეოგრაფიას
 უსამუკლოსო რამე.



თარგმნა ვაჟა ყუბანისძე

1. შღორი — ეინული
 2. ალფუსული — არეულ-დარეული, აწეილ-დაწეილი.

პოპო გვიანდა



მთავრობის
ინსტიტუტი





პეპოჩი - შინა დაგეგმვა


სტეპანონი და ვინი ცნობაში საქართველოს შესახებ (2000 წელს წინ)

სახელმწიფო ურთიერთობის, ინსტიტუტის და გეოგრაფიის სტეპანონი, ნატივითი პრეტორი ზაქარია და გეოგრაფიის პროფესორი დ. ნ. გვიანდა 24 წინააღმდეგ (მედიცინა და სხვა) მედიცინისთვის მიხვდნენ.

მან კარგად იცნობდა და ცნობდა ცნობაში მისი ცნობის საკითხის შესახებ თავის „გეოგრაფიის“ კითხვების ნაწილში ნიუ-იორკში „სტეპანონი“ XI ნიუ-იორკის საკითხის აღწერის აღწერის.







გამართა უღმობელი და უთანასწორო ბრძოლა. ეს ბრძოლა ღობის გადაღმა მოხდა, ხოლო ეზოში ამ დროს მხიარული ფეივლ-ხეივანი იდგა და ანკარას გმირული თმა არავის დაუნახავს.

გამარჯვებული ანკარა დარჩა. შხამიანი გველები გაეცდნენ ექაურობას და იმ დღის შემდეგ არც გამოჩენილან.

არა, თმში არ დაკოჭლებულა ანკარა.

ეს მოხდა შემდეგ, სწორედ მეორე დღეს, რაც ავმა ფიქრმა რამდენიმე თავი დასტოვა და ახალი მსხვერპლის ძებნას შეუდგა. რამდენიმე თავი მაინც ვერ დადებოდა ერთმანეთს, რადგან ავი ფიქრი ჯერ კიდევ მათ შორის ეგულებოდათ.

შუადღე იყო. ავი ფიქრი ეზოს შუაგულში წამოწოლილიყო და ფიქრობდა:

«ახლა უკვე დროა ანკარას შეგება. იმ სამი გველის შუივი ვინ უნდა იცის, თუ არა მე? შეგებრები ანკარაში და მასაც შხამიანს გავხედა!»

ეს გაიფიქრა ავმა ფიქრმა თუ არა, სისინი დაიწყო შხამიანი გველივით. მან იცოდა, რომ მხოლოდ ასე შეიძლებოდა ანკარას ეზოში შემოტყუება.

ანკარამ სისინს ყური მიუგდო და როცა მიხვდა, რომ ის ეზოდან მოდიოდა, წამით შეეფრინა, რადგან არ უნდოდა კვლავ დაეფრთხოთ ეზოს ბინადარნი. მაგრამ ბოლოს მაინც თავს დასძლია და ეზოში შეძვრა.

ანკარა შუაგულ ეზოსაკენ გაემართა, რადგან სისინი იქნადა მოსმილია. მიცოცავდა ანკარა, ხანდახან შეჩერდებოდა, აღმართებოდა, სურდა დაენახა, თუ ვინ სისინებდა, მაგრამ წინ ვერავის ხედავდა.

ეზოს ბინადარნი კი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, რადგან ანკარა აზერადდაც შხამიანი გველი ვლენათ.

გულადი ანკარა ვაკვირებული იყო, რადგან სისინი ახლა სულ ახლიდან მოისმოდა და მაინც არავინ ჩანდა. მან, ანკარამ, ჯერ ფიქრა, იქნებ დაებრძავედო, მაგრამ გარშემო ყველაფერი დაინახა, რის დანახვაც შეიძლებოდა: ეზოს შემინებული ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მას ემალებოდნენ; მალე ცაც დაინახა ლურჯი და დაბლა მწვანე მთლიც დაინახა; უკან რომ მოიხედა, თავისი კუდიც კი დაინახა და, სწორედ ამ დროს მას თავს დაეჭხა რაღაც უხილავი და უსახელო ძალა, რომელიც მის მოხრჩობას ლაშობდა, და ყულფოვით შემოეჭდო ყელზე.

ანკარა ჯერ დაინანა, ვერ მიმხვდარიყო, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ დროც აღარ იცდიდა, სული ეხუთებოდა და ძაღვაც ერთიშეოდა.

პირველი, რაც მოიფიქრა ანკარამ, თვალები დახუჭა. მაშინ მას შეეძლო ამ უხილავი მტრის ნაცვლად წარმოედგინა ის, ვინც მას თვითონ მოესურვებოდა და უკვე ვიზნა თავის მიერ წარმოდგენილ მტერთან. უხილავ მტრის სწორედ ამგვარად უნდა მიეგოწოთ, თავისივე ფანდზე უნდა ამეჭიროთ. ახლა ანკარასათვის ეს სხვა არავინ იყო, თუ არა ერთი ჩვეულებრივი შხამიანი გველი, მას კი სამისთვისაც უჯობნიან.

ავი ფიქრი რაღა ფიქრია, თუ ვერ მიუხვდა ანკარას ფიქრს. მან გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდო-

რად არის

ანკარა კოჭლი?

პირობა ახვალდინი

უწყინარი ანკარა კოჭლი იყო. ამას ვერაფერ ამჩნევდა, რადგან თვალს მოჰკრავდნენ თუ არა მას ეზოს ბინადარნი, თავიქუდიმთვლედილი აქეთ-იქეთ გარბოდნენ.

ანკარა ყველას შხამიანი გველი ევონა. ანკარა ღობის გადაღმა, ლოდებში ცხოვრობდა. ის ყოველ დილა-საღამოს კოჭლობით შემოუვლიდა ხოლმე ეზოს, რათა მასში რამე უწყინდური არ შემეძვრალიყო.

ერთხელ (მაშინ ანკარა ჯერ კიდევ არ იყო კოჭლი), ამგვარი შემოვლისას, მან სამი გველი დაინახა, რომლებსაც ეზოს დარბევა ჰქონდათ განზრახული. ანკარა მათ წინ გადაეღობა.

მოდა, თვალები გაეხეღინებინა ანკარასათვის და ოდნავ მოუშვა ყუღვი. ანკარამ ამით ისარგებლა და ახლა თვითონ შემოეხვია ავ ფიქრს...

ეზოს ბინადარნი შორიდან უთვალთვალედნდნენ ამ ბრძოლას. სინამდვილეში ისინი მხოლოდ ანკარას ხედავდნენ და უკვირდნენ მისი საქციელი; ანკარა იკვანებოდა, იგრინებოდა, მარყუევებს აკეთებდა — თითქოს ვიღაცის მოხრჩობას ლამობდა, შემდეგ იმართებოდა, ნახტომს გააკეთებდა, კვლავ ბურთად შეიკვრებოდა; თვალსა და ხელს შუა კანი ეკლავებოდა...

ბრძოლამ დიდხანს გასტანა.

ბოლოს ყველამ დაინახა, რომ ანკარა რაღაც უხილავს სალტედ შემოეჭდა და ნელ-ნელა დაიწყო მისი მოგუფვა. დრო და დრო ისვენებდა და ძალას იკრეფდა. უხილავი კი ამ მარყუევიდან დამრძობას ლამობდა. ანკარა უჭყრდა და უჭყრდა, ბოლოს, უკანასკნელ ძალა მოიკრიფა და უხილავი წელში გაწვევია.

არაქათგამოცლილი ანკარა მიწაზე გაწვა. დიდხანს იყო ასე. ეზოს ბინადართ ვფონათ, რომ ანკარა მოკვდა, და თავთავიანთი საფარიდან გამოვიდნენ. ზოგი, უფრო



მზატვარი **განსო სიღაჟელი**



გაბედული, ახლოსაც კი მივიდა ანკარასთან.

ანკარა შეირხა. ყველამ თავს გაქცევით უშველა. ანკარა ლოდებისაკენ გახიზნდა. ძლივს მიიწვედა. მიიმედ სუნთქავდა. გზა და გზა ისვენებდა. ძლივს მიღწა ლობებს, ძლივს გაიჭრა მასში. შევიდა თავის ლოდებში და დიდხანს არ გამოჩნენდა.

გავიდა ხანი. ანკარამ ჭრილობები მთიშუშა, ოღინდ ეს იყო, რომ ავ ფიქრთან ბრძოლაში საძუამოლ დაკოჭლდა.

კეთილ და მამაც ანკარას თავის სიკოჭლე სულ არ ადარდებდა. არც ის ადარდებდა, რომ მისი ეს ბრძოლა უხილავ ავ ფიქრთან ყველასაგან დაფარული დარჩა. მას მხოლოდ იმაზე წყდებოდა გული, რომ ლობის გადღმა, როდესაც მთელი ეზო მზიარულბოდა, ის თავის ლოდებში უნდა მჯდარიყო და ცრემლიანი თვალბებით ეთვალთვალა მათთვის. ისინი ხომ არასოდეს არ მიიდებდნენ თავის წრეში.


და კოჭლი ანკარა გულს იმით ითხებდა, რომ უფრო მონდობებით და ერთგულად იცავდა მათეს ეზოს სიმწივიდეს.

ყარალი ვირთაგვა მუსა და ყორალი ბიჭი ბიბი


მეზარ კვიტიციანი

ჩამობნელდა და გიგომაც
გამოთიშა გარეთ შუქი,
რომ ვირთაგვას თავისუფლად
შესძლებოდა ფსაფგუსუკი.
ის ხაფანგი წვრილი ჯაჭვით
გათბობის მიღს გამოაბა,
ემშაკურდა ჩაიდიმა:
„თუ ბიჭია, დანძრას, აბა!“
დასწვდა გიგი სატყურას,
დატრიალდა, როგორც მაქო,
გარჩეული, შეტრუსული,
ზედ ნიგოზი წამოაგო.
მერე წაიწხე შეაეენა
და ხაფანგი დადო კართან.
ღამის „სტუმარს“ ჰურმარლიც
შესაფერი გუჰმართა...
სწორედ ამ დროს, ბნელ სარდაფში,
აფრთხილებდა მუსას ტუსა;
კანკალებდა და უთრთოდა
ტუჩი გრძელი და ბუსუსა:
— ვფიცავ, წუსელ დამესიზმრა,
თითქოს ძირში მომტედა თათი,
თუმც ოჯახსე ცოტას ფიქრობ,
ვაკეცი სარ საკითხავი,
ბრმად არაუის ჩაუვარდე,
არ გაგაძრონ ცოცხლად ტეავი.
მუსამ ეურში არ შეუშვა,
ცოლის ხეწნა და მუღარა,
მედიდურად დაუევირა:
„ნუ წრინებ, გეეო, კმარა!...“
ჩამოიფა ღიჰხე ხელი,
გაიზმორა ნელა, ზანტად,
მისი ფიქრით, სადარბაზოს
ასაკლებად გამობრძანდა.

კიბის თავთან დაიბნადა,
შემწვარ ნიგვზის სუნი ეცა,
მოეძალა მსუნავს ნერწევი
და თვალეზი დაანცეცა.
გიგის სართულს რომ მიადგა,
გაინაბა, გაისუსა,
სიბნელეა, თუმც საკბილოს
კარგად შედავს ჩვენი მუსა.
გემრიელი სსუსუნავი
იზიდავდა როგორც ბანგი...
ნიგოზს კბილი რომ ჩაავლო,
აიძალა ის ხაფანგი.
ელვანავით წამოვიდა
და დატედა რკინა მესად,
წუწვი, ამწიოკებელი,
სერნემალში გადატეხა.



მხატვარი ლალი ლომთაძე



არც მკვდრია, არც ცოცხალი,
საცოდავი საცქერია, —
ის ნიჯოსი, შეუჭმელი,
შიჯ სახაში განსხერია.
ალიონზე, წელმოწვევტილს,
მეესოვემ ჩასცხო კეტი,
იქვე მოკლა და უმეფოდ
ღარჩა მთელი ვირთავკეთი.
გრძელი კუდით დაითრია
მუს-ვირთხა გოჭის ტოლა,
ჩაიტანა ქუჩის ზირას,
ზედ ნავაზე მოისროლა...
ძირს, ისედაც ბნელ სარდაფში
ჩამოიქცა რისხვით ზეცა,
ტუსა თავის წრუწუნებით
სხვა უბანში გადიხვეწა.


მოისვენა მთელმა სასლმა,
ესვევიან ირგვლივ გვიცხ,
იძახიან: ახლო-მასლო
ვერ გაბედავს ვირთხა შლიცინს.
დატრიალდნენ მესობლები,
ეველგან სუფევს სისუფთავე,
სართულებსაც ფერად-ფერად
ევაუილებით კონტად რთავენ.
გამოსულა დიდ-ზატარა
და აკეთებს თავის საქმეს,
უხარიათ, თავგასული
მტაცებელი რომ ალაგემს.
შაბათობაც მოაწვევს და
სარდაფები გამოხვეტეს...
ნარგავებიც განხარეს,
დაამგავსეს ესო ედემს.
ვიღას ახსოვს შენი მუსა,
გრძელკუდა და გრძელკუდამა,
ღამღამობით ამაყად რომ
ღადიოდა, როგორც ფაშა.
მოედანზე შევაიბრია,
განა ჩხუბი, დაკა-დაკა...
ღვას ეიკინა... თამამობენ
წინ გიგი და კარში — გაგა.
ამხნევებენ მობურთალებს,
შემახილთან ისმის ტაშიც,
და მერცხლებიც, მოჭიკჭიკი,
ნავარდობენ ლაჟვარდ ცაში.
სხვა რა გითხრათ, ჩემო ირმა,
ჩემო ნუკრი, ჩემო ელდარ...
დავიღალე, თქვენც დავღალეთ,
სიტევა ერთობ გამოგრძელდა.
მე ამ ამბავს შესაფერი
დასკვნაც უნდა მოვაყოლო:
ეველა ქურდის,
ავასაკის
ასეთია მუდამ ბოლო.

იოსებ ნონეშვილი-70

ბავშვების სამხარკალი პოეტი



სამეარო თვალთ დუნახველი
 კვლავ იმეორებს ვაჟკაცურ მახილს.
 ჩვენგან ეველახე შორს თქვენ წახვედით,
 ამით ეველახე ახლონი გახდით.
 თქვენ ცად ატეორცნათ დიდმა ხელემა,
 ხალხის ხელემა, ხალხის მარჯვენამ.
 ამ აწვირთებას, ამ გახველებას
 ჰქვია გაურენა და გამარჯვება.



ეს ლექსი, რომელიც პოეტმა იოსებ ნონეშვილმა კოსმოსის პიველგამკვალავებს უძღვნა, მაშინვე სიმღერად იქცა.

იოსებ ნონეშვილის ლექსი საერთოდ ასეთია — მსუბუქი, თითქოს სიმღერით და სიმღერი-სათვის შეთხზული. ამიტომაც ბევრზე ბევრი მისი ლექსი ბუნებრივად გადააწყვეს ნოტებზე ქართველმა კომპოზიტორებმა.

ვინც მარტო თვალთ კი არა, გულისყურითაც წაიკითხავს ნონეშვილის ლექსს, თითქოს ნაცნობი სიმღერა შემოესმება — ლალი, იოლად დასამახსოვრებელი და ძალიან საყვარელი... აბა წაიკითხე... და ნახავ...

დაილოცა საქართველო
 წღვიდან სერით სერამდი,
 ევაილეები, ევაილეები
 თეთრი, ათასფერადი...



წაიკითხავ და გული მაშინვე აჰყვება სიმღერას:

ორერო-რერო, რერო-რერო,
 რერო-რერო, რერო-რანუნი...

კიდევ გაგახსენებ სიმღერებს, რომლებიც შესაძლოა, ჯერ ლექსად არც წაგკითხოს და ყურით კი უკვე შეთვისებული გქონდეს. აბა ნახე:

ვანო, ლამანო, ფესვო ნაკურთხო,
 ვანო, ქართული კაცის დიდება,
 ფერით ზურმუხტო, ბარაქით უხვო,
 შენით სამშობლო ხარობს, ირთვება.
 ნანო ქალწულო, დალადაწულო,
 ვანო, შენს გამო არ ვართ მოცლილი...
 შემოდგომაზე, კვითხარ, ასულო,
 რთული არის თუ შენი ქორწილი?




ახლა ეს წაიკითხე ანდა წაიღიღინე:

მხატვარი ნანა ჭურღულია



ახლა ეს:

ცივ-გომბორიდან სიმღერით
სიცოცხლის გადასახედი
მოჩანს იისფერ ნისლებში
კახეთი, ჩემი კახეთი.



ზოგან ირმების ჯოჯოა,
ზოგან არწივნი ჭქრიან,
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჭქვია!

18709

კიდევ რამდენი შეიძლება გავიხსენოთ! აკი გითხარი — ბევრზე ბევრი! ალბათ ამიტომაც არის იოსებ ნონეშვილი ბავშვების საყვარელი პოეტი, რომ მისი გულიანი, გულიდან ამოხეთქილი ლექსი-სიმღერა ბუნებრივ ქართულ სასიმღერო შეძახილს მბაღებს ადამიანების გულში: ორერო-რერო!

იოსებ ნონეშვილს 70 წელი უნდა შესრულებოდა. იგი, შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუციის თანატოლია. დაიბადა რევოლუციონერის ოჯახში, და როგორც ასეთ ოჯახში გაზრდილ შვილს შეჰყვარის, კარგი მამულიშვილი, კეთილი ადამიანი და თავისი ხალხის ერთგული მსახური დადგა.

სულ ახალგაზრდა იყო ის, რომ დიდი სამამულო ომი დაიწყო... ფრონტზეც იყო იგი, თავისი ლექსებითაც მონაწილეობდა გამარჯვების მოახლოებაში. დაბრუნდა და ისევ თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის თავგადადებული სამსახური განაგრძო.

10 წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა ის ჩვენს „დილაში“ და ეამაყებოდა აქ სამსახური, რადგან ბავშვების მადლიერებას გრძნობდა, თავისი მოღვაწეობის ნაყოფს ხედავდა. იმდროინდელ ბავშვებს უზომოდ უყვარდათ მასთან შეხვედრები — ყურნალის გვერდებზე თუ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, სადაც თვითონაც უკითხავდნენ მას ლექსებს და მასაც უსმენდნენ. იმედია, დღევანდელი ბავშვებიც, მომავლის ქართველი ბავშვებიც სიყვარულით მიუგდებენ ყურს იოსებ ნონეშვილის ლექსებს.



სიურპის დღეთა
თანამგზავრი
რეკავს ზარი!..
სკოლის ზარი!..
ეკავილეების შრიადია,
უელსახვევთა ადგა ქარი!..
ეველა —
კოვი...
ქვია...

ლია —
სკოლისაკენ მიიქარის.
ზღვიდან ზღვამდე,
ციდან ცამდე.
ვით კოსმოსში თანამგზავრი,
სულში ათას ვარსკვლავს
ანთებს...
რეკავს ზარი...
სკოლის ზარი!..



ციცინო ბავყალიძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ზიგლიოსთქა


ლილი ზურაბაშვილი

„ლილის“ რედაქციამ გადაწყვიტა, თავის მკითხველ გოგონებს ქსოვა შეასწავლოს, თუმცა იქნებ ზოგმა ბიჭუნამაც მონიღომოს ჩვენს გაკვეთილების თვალის დევნება.

ხელით ქსოვა საქართველოში უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ქართველი ქალი სხვა საოჯახო საქმესთან ერთად ამ ლამაზ და სასარგებლო ხელობასაც ეუფლებოდა — ქსოვდა წინდა-პაჭიჭებს, ქუდეებსა და ხელთათმანებს, თბილ ტანსაცმელს, ხურჯინებსა და ფარდაგებს და სხვა და სხვა.

თუ გინდათ ქსოვა ისწავლოთ და თქვენც ხელით მოიქსოვით ან უმცროს და-ძმებს მოუქსოვით რაღაც, იცოდეთ, მონღომება და ნების-

ქსოვა



ყოფა დაგჭირდებათ.


ქსოვის დაწყებამდე საქსოვად საჭირო მასალა უნდა გქონდეთ მოწვადებული. რა გჭირდებათ?

ჯერ ერთი — **ძაფი**. უმჯობესია ბამბის ან შალის ძაფი, თუმცა ქსოვა შეიძლება აბრეშუმის, ნეილონის და სხვა ძაფითაც. თუ ძაფი წმინდაა, შეიძლება ამოკეცოთ ის 2, 3, 4 და მეტ წვერად. ძაფი უნდა იყოს რბილი, თანაბარი სიმსხოთი დართული და ოდნავ შეგრეხილი.

ძაფი უნდა ამოახვიოთ გაკეცილ 5-6 სმ სიგრძე-სიგანის ქალაღღზე ან მარცხენა ხელის შუა სამ თითზე (შემდეგ გადმოიძრობთ თითებიდან), მერე ჯერ შუაში უნდა გადაახვიოთ,

შემდეგ — ჯვარედინად. მიიღებთ ძაფის გორგალს.


ჩხირები. ჩხირები შეიძლება იყოს ფოლადის, ალუმინის, ძვლის, ხის, პლასტმასის... ჩხირი უნდა იყოს დაახლოებით 30—40 სმ სიგრძისა, სწორი. ცალი ბოლო წაწვეტებული უნდა ჰქონდეს, მეორე — გამსხვილებული, რომ თვალი არ გადასძვრეს. არსებობს ჩხირები, რომელთა ბოლოები ტროსით არის შეერთებული. ჩხირები ერთიმეორისაგან განსხვავდება სიმსხოთიც.




ნემსი. მოქსოვილი ნაწილების შესაერთებლად საჭიროა **ყაისნალი** ან სპეციალური გრძელკუნწიანი ნემსი, რომელშიც ადვილად ყვრება საქსოვი ძაფი.

სასურველია იქონიოთ **ყუთი**, სადაც ჩაღებულნი გექნებათ საქსოვი ძაფი, ნემსი, სანტიმეტრი, ყაისნალი, ჩხირები, სათითუ, პატარა მაკრატელი და ქსოვილის ნიმუშები.

ნაქსოვი ორგვარია: მჭიდრო და თხელი-აქურული. მჭიდრო ნაქსოვით იქსოვება ძირითადად ზამთრის, თბილი ტანსაცმელი, აქურული — საზაფხულო, მსუბუქი ჩასაცმელი ან მოსასხამები.





გამოსაცემი

სოთა სტუდენტები



ფიფქებს ჰგავს, არც ფიფქებია და არც სითბოში ღლვებიან, მსუბუქია და ფაფუკი, ფრთოსანს გააძრო ბუბიამ, თხელ შალითაში ჩაყრილი, რამდენჯერ თაყუქვს ვკვებია...

ბბლი, ბბლი, ვერცხლის ტახტი,

მშით ავიდე, მოვართო დაკვცი.

ქართული ხალხური გამოცანა

შაშაქა

რაცა სჯობია ღონესო, ანდაწამი რომ ვაშბობთ, საწყისად იმის სინონიმს აიღებ, ჩემო კარგო. თუმც, შარადისტვის მარტოღენ სამი ბუკრაა სარგო. ბოლოს დაურთე ანბანის ასო — ზირველი რიგით — დიდი მწერლის და მოღვაწის სხეული არის იგი.

სოთა ამირანაშვილი

წიგნი

სამართლებელთა ალკვ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელმწიფო კონტრასტა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შურნალი უმცროსკლასელებით-ვის.

გამოსი 1904 წლიდან საქ. კვ ცკ-ის გამოცემულობა.

შოთა რედაქტორი მწვერ ნიშარაძე

სარდაქციო კოლეგია: მწვერდ ამბობამ, მანანა ანობამ, ლაპარა ბაბა, სხილო ბობაბობამ, შირი ღაბიას-შვილი, სოლომონ ღმრხანასაშვილი, ღლილა შრამი, გელა ღოსაბობამ, მამალა მრმშვიშვილი, ჯურსხა ნაღობამ, ბიობი რიონიშვილი (სამხატრო რედაქტორი), მიმბაიო ჩაღაშ-რი (პ/შ, მღოვანი), ბიბი მშობამ, ბი-ბი ბიბინამ.

ტექნიური რედაქტორი მწვი ვარამიშვილი


მისამართი: რედაქციის, გამოცემულობის, სტამბის—თბილისი, ღენინის 14. ტელ: შო. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/შ. მღოვინის 93-10-32, 93-98-18; საშ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებუ-ბის 93-98-19.

გაღებუა ასაწობად 9.02.88 წ., ხელმო-წერილია დასაბუქდად 9.03.88 წ., ქაღალ-ლის ზომბ 60×90¹/₈, ფის. ნაბ. ფურც-2,5 ტობი 168.000, შვეკეთა №335

ულაზე ნაბტი სოფობი კიწურაშვილისა

«Дила» («Утро») ежесемесный жур-ნал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Смета Всесоюзной пионерской организации им В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Энвер Нишарაძე (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №335



ბავშვებო! გამოიცანით აქ დახატული თითოეული ბიჭუნასა და გოგონას ეროვნება. ამაში საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დროშები დაგეხმარებათ.

მხატვარი ნანა იოსელიანი